ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

ნინო ნიკოლეიშვილი

გაზეთი „ქართული ფილმი“ 80- იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების კონტექსტში

ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარი წერეთელი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2024

სარჩევი

ანოტაცია.....3

შესავალი.....4

თავი 1. ლიტერარტურის მიმოხილვა 5

თავი 1.1 პერესტროიკის პერიოდიზაცია.....5

თავი 1.2 ,,პერესტროიკისა და გლასნოსტის“ გავლენა - თავისუფალი მედიის პირველი ნიშნები.....7

თავი 1.3 გლასნოსტის პერიოდის მედია საქართველოში.....14

თავი 1.4 ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეა გაზეთ „ქართულ ფილმში“.....15

თავი 2. კვლევის დიზაინი.....17

თავი 2.1 კვლევის მეთოდოლოგია.....17

თავი 2.2 კვლევის მეთოდი.....18

თავი 3.1 კვლევის შედეგები.....19

თავი 3.2 ძირითადი ტენდენციები.....21

დასკვნა.....22

გამოყენებული ლიტერატურა.....24

ანოტაცია

მოცემულ ნაშრომში საბჭოთა სისტემის, იდეოლოგიისა და მედიის ცვლილების პროცესი საქართველოში, შესწავლილია გაზეთ „ქართული ფილმის“ 1987-1988 წლების გამოცემების მაგალითზე. ამ პერიოდის შერჩევა არ ყოფილა შემთხვევითი, 1987-1988 წლებში პრესაში, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად, „ქართულ ფილმში“ ეროვნულ-განმათავისფულებელი იდეები მწიფდებოდა და საფუძველი ეყრებოდა მაშტაბურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცვლილებებს, რაც, თავის მხრივ, 1989 წლის პოლიტიკურ პროცესებში გამოვლინდა. ამის გათვალისწინებით, 1987-1988 წლები გამორჩეულად საინტერესო პერიოდია, ერთი მხრივ, საბჭოთა, მეორეს მხრივ, კი ეროვნული იდენტობის მახასიათებლების გამოსაკვეთად.

როგორც აღვნიშნე, 80-იანი წლების მეორე ნახევარში ბეჭდურ პრესაში პლურალისტური ატმოსფერო გაჩნდა, ერთ-ერთ ყველაზე (შეგვიძლია ასეც ვუწოდოთ - „გარდაქმნილთა“ შორის ყველაზე ადრინდელ) თავისუფალ და ობიექტურ მედიაწყაროდ, შეგვიძლია, კინოსტუდია "ქართული ფილმის" პარტიული პროფკავშირის, კომკავშირის კომიტეტებისა და დირექციის ორგანო, გაზეთი „ქართული ფილმი“ მივიჩნიოთ.

ყოველკვირეული გაზეთი „ქართული ფილმი“ (გამოდიოდა ოთხშაბათობით, ფასი 3 კაპიკი) ოფსეტურად იბეჭდებოდა და საქართველოს ტერიტორიაზე სისტემატურად ვრცელდებოდა, თითო ნომერი 4 გვერდისგან შედგებოდა და ეხმიანებოდა კულტურულ, განსაკუთრებით, კინოსამყაროში მიმდინარე მოვლენებს. თუმცა, „ქართულ ფილმს“ მხოლოდ გასართობ, ან თუმდაც, მხოლოდ, შემეცნებით გამოცემად ვერ მივიჩნევთ.

1987-1988 წლებში, გაზეთის რედაქტორები აქტიურად ეწეოდნენ ანტისაბჭოთა კამპანიას, აუდიტორიას აცნობდნენ უცხოელ ვარსკვლავებს, რომლებიც ღიად აკრიტიკებდნენ საბჭოთა კავშირს - მაგალითისთვის, ერთ-ერთ ნომერში, რომელშიც გამოქვეყნებულია ინტერვიუ ცნობილ ამერიკელ მსახიობ გრეგორი პეკთან, ასეთ ამონარიდს ვხვდებით: „ჩემი ჩამოსვლის მიზეზი გახდა დღევანდელი სიტუაცია საბჭოთა კავშირში, დიდი ინტერესი ხალხის ცხოვრებაში და თვით საზოგადოებრვ ატმოსფეროში მომხდარი ცვლილებების

მიმართ“. ინტერვიუში პეკი საბჭოთა კინემატოგრაფისტთა ვერგანხორციელებულ პერსპექტივებზე საუბრობს, პოტენციალი, რომელიც ქართულ კინოს აქვს, ახლა და ახლა (ვგულისხმობთ 1987-1988 წლებს) უფრო თვალსაჩინო ხდება, როცა კინო იყო ხელოვნების სფერო და არა უბრალოდ, პროლეტარიატთან საურთიერთო კვაზისოციალიზმის რუპორი, მდარე და ღიად პროპაგანდისტული იდეებით. საბჭოთა კავშირის სრულყოფილად ფუნქციონირების პერიოდში ამგვარი ნარატივის გამავრცელებელი პირიც და რედაქციაც დაუყოვნებლივ სასტიკად დაისჯებოდა, თუმცა ბოლო საბჭოთა მმართველის, მიხეილ გორბაჩოვის რეფორმებმა დღის წესრიგი მკვეთრად შეცვალა.

შესავალი

მე-20 საუკუნის 80-იანი წლები საქართველოს ისტორიაში გარდამტეხი პერიოდი იყო. საბჭოთა მმართველობის რეპრესიული ქარტეხილების ეპოქა შესუსტდა და საბჭოთა კავშირში დაიწყო პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაცია, რომელიც ცნობილია "პერესტროიკის" სახელწოდებით. გარდაქმნის ეპოქის სათავეში საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერი მიხეილ გორბაჩოვი ცდილობდა ე.წ. სოციალისტური იდეოლოგიის, ეკონომიკის, პოლიტიკური სისტემისა და კულტურის რეკონსტრუქციას და გამოცოცხლებას, მეტწილად, დემოკრატიზაციის პროცესის გაძლიერებას. ე.წ. პერესტროიკას, აწ უკვე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, მოჰყვა გააქტიურება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც მანამდე შეფარვით, ნელ-ნელა არყევდა საბჭოთა ცენზურას, რომელიც, დიდი ხნის განმავლობაში ახშობდა განსხვავებულ და კრიტიკულ აზრებს. ამდენად, პერესტროიკის პერიოდში მედიამ შეძლო რევოლუციურ ცვლილებებში გადამწყვეტი როლის თამაში.

საბჭოთა სოციალისტური რეჟიმის მიერ კონტროლირებადი მედია ბრძოლის ველად იქცა მათთვის, ვინც შესაძლებლობა და სწორი მომენტი დაიჭირა "პერესტროიკის" პერიოდში ჩახშობილი, ეროვნული იდეების გამოსახატავად. ცვლილებები შეეხო რედაქციებს,

სტამბებს, სამაუწყებლო არხებს და საფუძველი ჩაუყარა ახალ ნარატივს, ისეთს, რომელიც შეცვლიდა ერის ცნობიერებას.

ამ მედიარევოლუციის ადრეული ნაპერწკალი გაჩნდა 1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც გაზეთებმა და ჟურნალებმა დაიწყეს მანამდე დასაშვები დისკურსის საზღვრების გადალახვა. რედაქტორები ფრთხილად კვეთდნენ ცენზურის ზღვარს, იკვლევდნენ და აანალიზებდნენ ისეთ საკითხებს, რომელთა გაშუქება და გაჟღერება საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების მიღმა ათეული წლების განმავლობაში რჩებოდა, ქართულ ჟურნალისტიკაში დაიწყო დიდი ცვლილებების ხანა.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 პერესტროიკის პერიოდიზაცია

პროცესების გასააზრებლად არანაკლებ მნიშვნელოვანია „პერესტროიკის“ პერიოდიზაცია და ცვლილებათა მიმდინარეობის ქრონოლოგიურ ფაზებად დაყოფა. საბჭოთა, რუსულ და დასავლურ წყაროებზე დაყრდნობით მკვლევარმა მუმლაძემ 2021 წელს დეტალურად შეისწავალ პერესტროიკა/გლასნოსტი და მისი თანმდევი პროცესები. მისი დაკვირვებით გარდაქმნის პირველი ფაზა 1986-1990 წლებში დაიწყო და მეორე ფაზაში - 1990-1991 წლებში უკვე პლურალიზმისთვის დამახასიათებელი კონცეპტუალური, იდოლოგიური ცვლილებით გადავიდა. პირველი ფაზის სოციალისტური პლურალიზმი ლიბერალურით შეიცვალა.

ყველაზე გავრცელებული კონცეფციით პერესტროიკას სამ ფაზად ყოფენ და ამ დაყოფას იზიარებს რუსი მკვლევრების უმეტესობა - საზღვრები მკაფიოდ არის გავლებული 1985-

1987 წლებში, როდესაც პერესტროიკის პროცესი მიმდინარეობდა „აჩქარების“ ლოზუნგით, 1988-1989 წელს ეს ღიაობით ანუ გლასნოსტით ჩანაცვლდა, ხოლო ბოლო, მესამე ფაზა აქაც 1990-1991 წლებია, როცა სსრკ დაიშალა. თავის სამფაზიან კონცეფციაში მიურეი კლასიფიკაციის კრიტერიუმად იღებს გლასნოსტის პრაქტიკული განხორციელების წინაპირობებს. მისთვის „გამჭირვალობის“ პირველი ეტაპი სამი წელი გაგრძელდა - 1985-1988 წლამდე, როდესაც პერესტროიკა და გლასნოსტი ოფიციალურად იქნა აღიარებული სსრკ-ის სახელმწიფო პოლიტიკად, მეორე ეტაპი დადგა 1988 წელს და გაგრძელდა 1990-მდე - ეს იყო პერიოდი, როდესაც მედიას სჯეროდა საკუთარი ძალაუფლების და გავლენის, გაქრა შიში უმაღლესი პარტიული აპარატების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მაღალჩინოსნებისგან აშკარად მოდიოდა უკმაყოფილება გლასნოსტის სსრკ-თვის დესტრუქციული შედეგების გამო. მესამე ეტაპი მიურეისთან 1990 წლის აგვისტოში იწყება, როდესაც მიღებულ იქნა პრესის კანონი, რომელიც მედიას პოლიტიკური პარტიების ჩარევისგან იცავდა და ცენზურისგან ათავისუფლებდა.

ზემოაღნიშნული პერიოდიზაციის მაგალითი უბრალო და ტრივიალურია, რადგან აღებული თარიღები მოკლებულია კავშირს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან, თუმცა განსხვავებულია ჯოზეფ გიბსის კლასიფიკაცია. გიბსი „გლასნოსტს“ ოთხ ფაზად ყოფს და თარიღებად მკაფიოდ განსაზღვრულ საზღვრებს ირჩევს. პირველი - 1985 წელი: ცუდი ხელისუფლების საჯარო კრიტიკის წელი;

მეორე - 1986-1987, „გლასნოსტის“ პოლიტიკის შედეგების წელი, როცა გამოქვეყნდა აქამდე აკრძალული ისტორიული მასალები და ხელოვნების ნიმუშები (ჩერნობილის კატასტროფა და აჯანყება ალმა-ატაში, რომლებიც გლასნოსტის მთავარ მოვლენებად იქცა, და რომლის შესახებაც „ქართულ ფილმშიც“ დაიბეჭდა);

მესამე - 1987-1988 წლები: დესტალინიზაციის კამპანიის დასაწყისი;

მეოთხე - 1988-1990 წლები: კომუნისტური პარტიის XIX კონფერენცია, სსრკს-ს აბსოლუტური მონოპოლიის შეზღუდვა და ცენზურის გაუქმება.

საქართველოში მოვლენათა კლასიფიკაცია, თუ გიბსის ნააზრევს მივყვებით, ასე შეგვიძლია:

1. 1985 წელი _ ლოდინი რეჟიმი. ქართულ მედიაში პერესტროიკას ჯერ კონკრეტული შედეგები არ მოუტანია. პერესტროიკა მხოლოდ შორი პერსპექტივის რეალობად მოჩანს, რომელიც ძირითადად პოლიტიკური ლიდერების განცხადებებში ან ცენტრალური პრესიდან დაბეჭდილ ოფიციალურ მასალებში ჟღერდება.
2. 1986-1987წწ - ქართულმა მედიად გამოიღვიძა. გამოჩნდა კრიტიკული სტატიები და ახალი გამოცემებიც (არასახელმწიფო ელიტის - ინტელიგენციის პუბლიკაციები)
3. 1987-1988წწ _ ტაბუ მოეხსნა აქამდე აკრძალულ თემებს, აკრძალულ ავტორებს, აკრძალულ ლიტერატურას...

1988-1990წწ _ ეროვნული შეუპოვრობის საბოლოო გამოვლინება, როცა საქართველოს ისტორია დაიწერა დამოუკიდებლობის სურვილით - 9 აპრილის ტრაგედია, როდესაც საბჭოთა ჯარებმა სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი მომიტინგეები, 9 აპრილის მოვლენებს მოჰყვა მსხვერპლიც. სწორედ ეს დღე იყო „გლასნოსტის“ გარდამტეხი მომენტი საქართველოში.

1.2. „პერესტროიკისა და გლასნოსტის“ გავლენა - თავისუფალი მედიის პირველი ნიშნები

კვლევის კონტექსტის გასააზრებლად, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ 80-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პროცესები. 1982 წლის ნოემბერში, ლეონიდ ბრეჟნევის გარდაცვალებასთან ერთად დამთავრდა საბჭოთა კავშირის ეპოქაც. ამის ფონზე, სსრკ-ში გაუარესებულმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა მდგომარეობამ და იდეოლოგიური ერთსულოვნების მორღვევამ, თავისთავად მოითხოვა სიახლეები და რეფორმები. სწორედ ამ ეტაპზე, ხელისუფლებამ გააანალიზა, რომ მონოპოლია, რომელსაც სრულიად ფლობდა ყველა მედიასაშუალებაზე, ახლა პირიქით შემოუტრიალდა და 70-წლიანმა პროპაგანდამ ანტი-პროპაგანდის სახით, ძირი გამოუთხარა. მეორე მხრივ, დასავლელი ლიდერები სარგებლობდნენ სსრკ-ს კრიზისით და

ეფექტურად იყენებდნენ გლობალურ საინფორმაციო არხებს საკუთარი ნარატივის გასავრცელებლად და საზოგადოებასთან კონტაქტის დასამყარებლად, ერთ-ერთი ინდიკატორი, სწორედ ბეჭდური მედია აღმოჩნდა. გაზეთ „ქართულ ფილმში“ აქტიურად შუქდებოდა საერთაშორისო კინო-ფესტივალები, იბეჭდებოდა ინტერვიუები და პორტრეტები მსახიობებსა და კინო-რეჟისორებთან - 1988 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნდა უნგრელი ჰოლივუდელი რეჟისორის, მილოშ ფორმანთან ინტერვიუ და სტატიაში გახმოვანდა ფორმანის ნოვატორული, პროგრესული იდეები და ნამუშევრები, დასავლური ინტელექტუალიზმისა და ინდივიდუალიზმის მოტივებით, რაც, აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა საბჭოურ ღირებულებებს. მედიამ ანტისაბჭოთა პროპაგანდის გატარება იმდენად კარგად შეძლო, რომ საბჭოთა ნარატივმა დაკარგა სანდოობა და ლეგიტიმურობა. მოკლედ, კომპარტიამ გააანალიზა, რომ თანამედროვე ეპოქაში, საბჭოთა კლასიკური პოლიტიკით, სსრკ ვერასდროს აუწყობდა ფეხს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ვერც მოწინავე კაპიტალისტურ საზოგადოებას გაუწევდა კონკურენციას (ვერც ერთ სფეროში). სტაგნაციის პერიოდის გამოსასწორებლად, სათავეში მოსულ მიხეილ გორბაჩოვს რთული გადაწყვეტილების მიღება მოუწია - გარდაქმნის, იგივე „პერესტროიკის“ ინიციატივით გამოსვლა.

1984 წლის 10 დეკემბერს მიხეილ გორბაჩოვმა საბჭოთა პარტიული მუშაკების აუდიტორიას მიმართა, რომ „საბჭოთა მოქალაქე ადამიანია, მზარდი კულტურული და ინტელექტუალური სტანდარტებით და ცხოვრებისეული გამოცდილებით. ადამიანი, რომელიც მარტივ პასუხებს არ მიიღებს - კარგად არჩევს სიმართლესა და სიცრუეს“ გორბაჩოვი პროლეტარიატს სიმართლეს და გამჭირვალე პოლიტიკას დაჰპირდა და აღნიშნა, რომ სოციალისტური დემოკრატიის მთავარი სპეციფიკაც სწორედ სიმართლეზე დაფუძნებული პოლიტიკაა. დაპირებულ გამჭირვალობას „გლასნოსტი“ ეწოდა. „გლასნოსტის“ პრინციპების იდეოლოგიური რეაბილიტაცია ნახევარსაუკუნიანი დუმილის შემდეგ, სსრკ-თვის ფატალური აღმოჩნდა. გარდაქმნისა და გამჭირვალობის პოლიტიკის მიზანი, რომლის ინიციატივითაც გორბაჩოვი გამოვიდა, ერთადერთი სავარაუდო გამოსავალი იყო, რომელიც თავისთავად ვერ გამართლდა, რადგან პარადოქსული და

სრულიად კონტრასტული იყო საბჭოურ მსოფლხმედველობასთან მიმართებით. საბჭოთა ხელისუფლებას ახალი პროპაგანდით, ძველი ნარატივის გატარება და ხალხზე გავლენის შეანრჩუნება სურდა, თუმცა ეს იდეა პრაქტიკაში ვერანაირად ვერ განხორციელდებოდა, ცენზურის ოდნავ შერბილებას უმალ მოჰყვა ეროვნული იდეების ამოხეთქვა.

1987 წლის „ქართული ფილმის“ თითქმის ყველა ნომერი, პირველ გვერდს განცხადებას, სვეტს უძღვნის, სათაურით - „გარდაქმნის კურსით“, რომელშიც ყოველ ჯერზე ამხელს საბჭოთა სისტემის უარყოფით მხარეებს და საუბრობს იმ საჭიროებებზე, რაც იმ პერიოდის ქართულ საზოგადოებას სჭირდებოდა არსებობისა და განვითარებისთვის - „ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დიდი რევოლუციური გარდაქმნები, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს სრულყოფა, დემოკრატია, საჯაროობა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება ყოველდღიურად უფრო და უფრო მკვეთრ გამოხატულებას პოულობს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთელ კოლექტივში“ - ნათქვამია 1987 წლის ოქტომბრის ნომერში. ამგვარი დამოკიდებულებისა და შედეგების წინასწარ განჭვრეტა კომუნისტებმა შეძლეს და მკაცრი პოზიცია დააფიქსირეს: „საინფორმაციო (მედია) რევოლუციას საბჭოთა პარტია მხარს არ დაუჭერს“. ცხადია საბჭოთა პოლიტიკა, დატვირთული გამოუსადეგარი ბიუროკრატიით კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა პრივილეგიების დათმობას. ძველ კომუნისტურ გვარდიას არ სურდა ისეთი ცვლილებები, რომლებიც ძირს გამოუთხრიდა თავიანთ სტატუსს, ძალაფულებასა და სიმდიდრეს. მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც „პერესტროიკის“ პროცესს აფერხებდა, იყო მასობრივი ნიჰილიზმი. ათწლეულების განმავლობაში ტირანიზებული მოსახლეობა საერთოდ არ იყო განწყობილი ცვლილებებისთვისა და აქტიურობისთვის, მეტიც, იდეოლოგიურად ტრავმირებულ ხალხს არც სამთავრობო დაპირებების რწმენა ჰქონდა. „ქართული ფილმის“ 1988 წლის მაისის გამოცემის სტატიაში საბჭოთა პოლიტიკური კურსის შესახებ, ვკითხულობთ: „ყველაფერი რაც ჩავიფიქრეთ, უმთავრესად, განხორციელდება შრომით, საწარმოო კოლექტივში. ეკონომიკის მართვის ყველა ორგანოს საქმიანობა, უწინარეს ყოვლისა, მიზნად უნდა ისახავდეს ეკონომიკის ძირითადი რგოლის წარმატებული, ეფექტიანი ფუნქციონრიების წინამძღვრების შექმნას. ამხანაგებო! ერთხელ კიდევ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი

ეკონომიკური მუშაობა, გარდაქმნა წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოიზიდავს მილიონობით მშრომელთა მასებს“.

როგორც ვხედავთ, მსგავს უიმედო და კრიტიკულ მომენტში პასუხისმგებლობა ჟურნალისტიკამ იტვირთა, საზოგადოებაში ეროვნული იდეებისა და პრინციპების ნაპერწკლის გასაღვივებლად. ამ პროცესს ვინ უნდა ჩასდგომოდა სათავეში, თუ არა ინტელიგენცია, მაღალი კულტურული და მსოფლმხედველობრივი ღირებულებებით. „ქართული ფილმის“ რედაქცია სწორედ ამგვარი ადამიანებით იყო დაკომპლექტებული და ისინი ახერხებდნენ საზოგადოებისთვის „პერესტროიკის“ მთავარი მესიჯის მიწოდებას - გარდაქმნის სასიცოცხლო აუცილებლობასა და ცენზურის ნგრევას. გაზეთი „ქართული ფილმის“ გვერდებზე, თამაზ ებანოიძის მიერ მომზადებულ პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „განა არ დადგა დრო ბოლო მოეღოს იმ წესს, რომ ვთქვათ, ათწუთიანი სასწავლო შეკვეთილი ფილმის გადასაღებად არ შევუთანხმდეთ სამინისტროს, სახკინოს და სხვას? არ დადგა დრო გავაჩეროთ ბიუროკრატიული დოლაბები, ამდენი წელი რომ ფქვავენ ინიციატივასა და დამოუკიდებლობას? არ დადგა დრო, რომ ყოველი ფილმი, მხატვრული, დოკუმენტური თუ სასწავლო, დამოუკიდებლად, ბუნებრივი სიუჟეტით გადავიღოთ და გავუშვათ? ამ კითხვებს უახლოესმა მომავალმა უნდა გასცეს პასუხი“. სახელმწიფოს უხეშმა ჩარევამ ერი და კულტურა დეგრადირებამდა მიიყვანა, ხალხიც და ხელოვანებიც (იქნებოდა ეს მწერალი, პოეტი, მსახიობი, მხატვარი, რეჟისორი) უნიჭოდ უტრირებულ კულტურის პროდუქტს მიეჩვია. განგაშის ზარი, რომელიც 70 წლის მანძილზე ხმადაბლა ჟღერდა, 1986-1987 წლიდან გაბედულად ახმაურდა, „ქართული ფილმის“ რედაქციამ საბჭოთა ცენზურის ექსტრემალური ხაზები გადაკვეთა და მკითხველს მიმართა სხვადასხვა სფეროთა დიფერენცირების, დამოუკიდებლობისა, გააქტიურებისა და გათავისუფლების ინიციატივით.

“მათთვის, ვინც ცდილობენ ჩაახშონ სუფთა, სამართლიანი ხმა, ძველი სტანდარტებისა და დამოკიდებულებების გამო, მომავლის გზას ვერ გაყვება“ - განაცხადა მიხაილ გორბაჩოვმა 1986 წელს სიტყვით გამოსვლისას. გორბაჩოვს გულის სიღრმეში რა განზრახვაც არ უნდა

ქონოდა, ფაქტია ის მოგვევლინა ადამიანად, რომელმაც საბჭოთა კავშირი დაშალა, შესაბამისად, გაზეთში იკვეთება „ქართული ფილმის“ ჟურნალისტთა აშკარად გამოხატულ სიმპათია გორბაჩოვის მიმართ. სოციალისტური პოლიტიკის კრიტიკის პარალელურად, გაზეთი ღიად საუბრობს გარდაქმნებისა და რეფორმების აუცილებლობაზე და გორბაჩოვის პოლიტიკურ ძვრებს დადებითად აფასებს.

გაზეთი „ქართული ფილმი“ კინოსტუდიის პარტიული გაზეთი იყო, რომელიც 1987-1999 წლებში ყოველკვირელად - ოთხშაბათობით გამოდიოდა. გაზეთის ძირითადი თემატიკა კინო, ხელოვნება და კულტურა იყო. თითო ნომერი ოთხი გვერდისგან შედგებოდა, მთავარი რედაქტორი იყო ნატო ციციშვილი. „ქართული ფილმი“ იბეჭდებოდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, თბილისში 1987 წლის 21 იანვრიდან.

1987 წლის ივლისის ნომრის მეოთხე გვერდზე პატარა ბლოკია გამოყოფილი სათაურით „შესანიშანვი ინიციატივა“, სადაც დაანონსებულია ახალი არაკომერციული ორგანიზაციის შექმნა - „ამერიკულ-საბჭოური კინოინიციატივა“, როგორც სტატიიდან ვიგებთ, ორგანიზაციის მიზანი ამერიკელ და საბჭოელ კინემატოგრაფისტთა თანამშრომლობის განმტკიცებაა: „სსრ კავშირში გარდაქმნის პროცესმა მთელ მსოფლიოში გამოიწვია ინტერესი და ამის ერთ-ერთი შედეგი გახლავთ საბჭოთა კინოხელოვნებისადმი ინტერესის გაზრდა. „ამერიკულ-საბჭოური კინონიციატივის“ სამოღვაწეო პროგრამა ითვალისწინებს ინფორმაციის ფართო გაცვლას...“.

როგორც ვხედავთ, გორბაჩოვის რეფორმებმა - „პერესტროიკის“ და „გლასნოსტის“ პროცესებმა გარკვეული უპირატესობები მოიტანა სსრკ-ს საგარეო პოლიტიკაში, ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან სწრაფად გაუმჯობესდა. ჯერ კიდევ 1985 წლის ბოლოდან გორბაჩოვმა დაიწყო ყოველწლიური სამიტის ფარგლებში შეხვედრების სერია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ - რონალდ რეიგანთან, შეხვედრები გაგრძელდა რეიგანის მემკვიდრე ჯორჯ ბუშთანაც. ცივი ომის შემდეგ პირველად, გორბაჩოვს მიესალმნენ საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე და მიიღეს ის,

როგორც დინამიური ლიდერი, რომლის გაბედული ინიციატივებიც სწრაფად ცვლიდა დღის წესრიგს.

საბჭოთა რევოლუციის ისტორიის, ისევე, როგორც გლასნოსტის სხვა თემატური კომპონენტების გადაფასება უზენაესმა ძალამ დაუშვა და მასაც, ისევე როგორც გლასნოსტის სხვა კომპონენტებს, არ გააჩნდა მკაფიოდ გამოყოფილი საზღვრები. შეუძლებელი იყო იმის გაკონტროლება ან პროგნოზირება თუ რა მიმართულებით განვითარდებოდა საბჭოთა კავშირი და როგორ გადაფასდებოდა მისი მემკვიდრეობა. ამ პერიოდში აკადემიურმა წიგნებმა და სახელმძღვანელოებმა ადგილი დაუთმეს გაზეთებსა (ძირითადად) და ტელევიზიებს, აკადემიურმა სფერომ აღიარა მედიაგზავნილის პრიორიტეტი.

ამ მხრივ, საინტერესოა, ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის ინტერვიუ სათაურით: „მეტყველება და ყოველდღიური ცხოვრება“.

როგორც ინგლისელები ამბობენ: „კატა ტომრიდან გამოვიდა“ - ეს პერესტროიკის და გლასნოსტის შემდგომი პერიოდის მამარდაშვილისეული დახასიათებაა. გამჭირვალობა, რომელიც პერესტროიკის ერთადერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა შეუქცევადი აღმოჩნდა. თუმცა, დიდი კითხვის ნიშანი დგება შემდგომ პროცესებში, რა ძალა ენიჭება განთავისუფლებულ სიტყვას რეალობაზე? რას ნიშნავდა და რამე პრაგმატული შედეგი მოიტანა თუ არა გამჭირვალობამ და ღიაობამ. როგორც ტარასულო (1989) აღნიშნავს, საბჭოთა სოციალიზმის იგივე სოვიეტოლოგიის კვლევა, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ბრეჟნევის მმართველობის, შეფასებული როგორც „სტაგნაციის“, პერიოდს ემთხვევა. პერესტროიკის პირველ წლებში, გარდაქმნათა რეფორმების გამოცხადებისთანავე, საბჭოთა ექსპერტები შეთანხმდნენ, რომ გლასნოსტი არსებითად რევოლუციას ნიშნავდა და სწორედ იმ მომენტიდან ახალი ისტორია იწერებოდა. მართლაც, გაზეთი „ქართული ფილმი“ წინა პლანზე წევდა თავის პოლიტიკურ პროფილს, გაზეთის რედაქტორი - ნატო ციციშვილი, საავტორო სვეტით ეხმაურებოდა მიმდინარე მოვლენებს და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა საბჭოთა ხელისუფლებას, ხმამაღლა აცხადებდა

დამოუკიდებელი, ქართული პროდუქტის, ამ შემთხვევაში კინო-პროდუქტის შექმნის აუცილებლობას. დამოუკიდებელი საქართველო - აქტიური ეკონომიკითა და კულტურით, ეს ის ძირითადი მესიჯია, რასაც „ქართული ფილმი“ საკუთარ მკითხველთან აგზავნის.

იმის გათვალისწინებით რომ ეს პროცესი არც ისე მარტივი იყო, როგორც არბატოვმა (1991) და გაიდარმა(1997) შეაფასეს, გორბაჩოვის „გლასნოსტი“ ლენინის მისტიური კულტის ფიგურაზე აღმოცენდა და გამჭირვალობა-გარდაქმნის რეფორმებშიც ბიპოლარული პარადიგმები იყო ჩაბეჭდილი - ლენინ-სტალინი, სტალინი-ბუხარინი, სტალინი-ხრუშჩოვის მემკვიდრეობის გაგრძელების სახით.

თუმცა საკმარისი, საკმარისი აღმოჩნდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების შეკავება საქართველოში ვერ მოხერხდა. ქართველი ერი შეპყრობილი იყო დამოუკიდებელი, ნაციონალისტური წარსულით. ეროვნული პრესის მედიადისკურსშიც ხშირად ჩნდებოდა წითელი ისტორიის საპირისპირო, ტკბილი და საამაყო წარსულის თანამედროვეობაში დაბრუნების გზები და რეკომენდაციები. „ქართულ ფილმში“ გაზეთის გვერდები ეთმობოდა დისკუსიას - პასუხებს და „პასუხის პასუხებს“, ქართული საავტორო უფლებების დაცვას და ეროვნულ კულტურაში ოქროს ასოებით ჩაწერილ ნაწარმოებათა პოპულარიზაციას. ამ თემებს შორის იყო საქართველოს გასაბჭოების რეალური ისტორიაც, ბოლშევიზმთან ბრძოლა, „დიდი რეპრესიების“ ხარისხი და შედეგები, მივიწყებული სახელები, ეროვნული გმირები. ეს თემები აერთიანებდა უამრავ სადავო საკითხსა და თვალსაზრისს და აკრძალული ისტორიების სააშკარაოზე გამოტანას ემსახურებოდა. ამჯერად, ცოტა ხნით მაინც ქართული მედია ემსახურებოდა ეროვნულ ინტერესს და უკიდურესად ლოალური იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ.

ამ მხრივ აუცილებლად გამოვყოფდი გაზეთ „ქართულ ფილმში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს ნოდარ კაკაბაძესთან, სათაურით „სახიფათო გულუბრყვილობა“, სტატიის ავტორი ირმა წერეთელია. მასალა სწორედ სისხლიან რეპრესიებს და მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ეხმაურება. თუ როგორ დაეცა ფსიქოლოგიურად ქართველი ერი და სასტიკის რეპრესიების მემკვიდრეობა და შიში როგორ გადმოჰყვა ინტელიგენციას,

რომელიც მაინც მთელი ძალით ცდილობს წინ აღუდგეს საბჭოთა მახინჯ გადმონაშთებს და ხალხს სწორი, ნაციონალისტური არჩევნისკენ უბიძგებს. კაკაბაძე ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ვაჟასეულ ბალანსის იდეას იზიარებს და ერთი „იზმი“-დან მეორეში გადავარდნის საშიშროებაზე საუბრობს.

1.3. გლასნოსტის პერიოდის მედია საქართველოში:

როგორც წინა თავიდან ირკვევა, საქართველოში მედიალანდშაფტი საბჭოთა დღის წესრიგის მიხედვით იცვლებოდა, განსაკუთრებით პერესტროიკის საწყოს ეტაპზე. მაგრამ პერიფერიებზე არსებული ეროვნული იდეები და სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი მნიშვნელოვან განსხვავებას ქმნიდა ცენტრალურ საბჭოურ ტენდენციებთან. კერძოდ, თუ ცენტრშში ძალაუფლების სტრუქტურების წარმომადგენლებისგან ჩამოყალიბდა რეფორმატორების (გლასნოსტის მომხრეების) და რეტროგრადების (გლანოსტის მოწინააღმდეგეების) მოძრაობაები, ამ დროს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მისი წარმომადგენლები ძლიერდებოდნენ. ცხადია, ისინი რეფორმატორებად განიხილებოდნენ, მეორეს მხრივ, ძალაუფლებაში მყოფი ელიტა თავისთავად რეტროგრადებს წარმოადგენდა. ამას გარდა, ცენტრალური საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, მთელი ქართული ოფიციალური პრესა გლასნოსტის გავლენის ქვეშ იყო.

როგორც ხათუნა მაისაშვილი (2018) აღნიშნავს: „1980-იანი წლების ბოლოს ორი ტიპის პოლიტიკური ელიტის გავლენის (პარტიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის) ქვეშ საქართველოს მედია სისტემაში გაჩნდა ორმაგი გლასნოსტის შინაარსი - ე.წ პრო-გლასნოსტი (ოფიციალური მედია) და ანტი-გლასნოსტი (დამოუკიდებელი მედია)“, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნებოდა „ქართული ფილმიც“. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებიც, სხვათა შორის ერეოდნენ და აკონტროლებდნენ მედიის შინაარსს.

ხათუნა მაისაშვილის ნაშრომის მიხედვით, ,,სსრკ-მ პერესტროიკით გამარჯვება ვერ მოიპოვა, რადგან ცვლილებების შინაარსზე პასუხისმგებელ პარტიულ პირებს საზოადოება

გაუუცხოვდა და ნდობა დაკარგა, მათი დაპირებები არადამაჯერებელად ჟღერდა და ძალაუფლების მოპოვების მცდელობას ჰგავდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და მისმა მხარდამჭერმა მედიამ კი ისტორია გადააფასა მარქზისმის კრიტიკით და ნაციონალისტური მოტივებით გაიაზრა პერსპექტივები“ (მაისაშვილი, 2017). ამრიგად, ისტორიის გადასინჯვა „მეინსტრიმ მედიის“ ანუ სახელმწიფო მედიის ნაცვლად, არაფორმალურ პრესაში მოხდა, ჩვენი კვლევის მაგალითზე კი გაზეთ „ქართულ ფილმში“.

აღსანიშნავია, რომ გლასნოსტის პერიოდის ქართული მედიის შინაარსის ანალიზმა, რომელიც ეფუძნება პროექტს „გლასნოსტური ისტორიები საქართველოში“ მაისაშვილის ხელმძღვანელობით (2017) აჩვენა, რომ საზოგადოება არ აფასებდა იმდროინდელ ქართულ პრესას. კვლევის მიხედვით გამოკითხულდა 85 %-ს არ ახსოვდა ქართულ პრესაში ეროვნულ იდეებზე ორიენტირებული ნარატივის არც ერთი მაგალითი, 15 %-მა კი აღიარა, რომ ასეთი მცდელობები ახსენდება, მაგრამ ზედმეტად მხატვრული ტექსტის ან უხარისხო ტექსტის გამო ამგვარ სტატიებს გავლენა არ მოუხდენია.

მიუხედავად ამისა, საქართველოში უდავო ფაქტია ის, რომ საბჭოთა სოციალისტური საქართველოს „კლასიკური ეროვნული იდეოლოგიის აღზევების ხანა“ სწორედ 80-იანი წლები იყო, რასაც ადასტურებს თეატრალური, კინემატოგრაფიული და ლიტერატურული ნაწარმოებები (რომლებსაც გაზეთი „ქართული ფილმი“ აშუქებდა).

თუმცა მაინც, ქართული მედია საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის მხოლოდ პერიფერიულ ნაწილად ითვლება, რომელსაც რამდენიმე გამონათება ჰქონდა.

1.4.ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეა გაზეთ „ქართულ ფილმში“

საბჭოთა კავშირის ხელახლა გამოჩენას გლობალური პოლიტიკის დაფაზე დადებითი

ეფექტი არ ჰქონია თვითონ სსრკ-ს პოლიტიკისთვის, რადგან ცენტრალური კონტროლის ინსტიტუტი, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირს აერთიანებდა, განადგურდა. კომუნისტური პარტია უფრო და უფრო მოიცვა „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ ქარიშხალმა და დაიწყო ფუნქციონირებისა და ძალაუფლების სტაგნაცია. შესაბამისად გააქტიურდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მიზანიც ნაციონალისტური, დემოკრატიული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა იყო. იდეოლოგია, რომლითაც ეს მოძრაობა საზრდოობდა იყო ეთნიკური ნაციონალიზმი.

ნაციონალიზმის ფორმა, რომელიც საქართველოში 1980-იანი წლების ბოლოდან ჩამოყალიბდა, აგებულია საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო იდეაზე, კერძოდ, ქართველი ერის იდეალიზებულ წარსულის მოდელზე, რომელშიც გამორჩეული როლი და პრიორიტეტი რელიგიას ენიჭებოდა.

„ქართული ფილმის“ 1988 წლის მარტის ნომერში, კინორეჟისორი ლერი სიხარულიძის პუბლიკაციაში ვკითხულობთ - „მსოფლიო ცივილიზაციის თვალში ჩვენი ერი პრესტიჟის განმტკიცებას და ამაღლებას ნამდვილად, რომ აკლია ქართველი ერის ვეება ისტორიის ამსახველი ფუნდამენტური ნაშრომი საქართველოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა და ისტორიის ინსტიტუტის ავტორიტარული „გრიფით“.“ საუბარია ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ გერმანულ თარგმანზე, სადაც ლერი სიხარულიძის აზრით, დიდებული ეროვნული და რელიგიური ისტორია უტრირებულია და არ არის სრულყოფილად გადმოცემული. ამგვარი გულგრილობა კი ცხადია სხვადასხვა ქვეყნის განათლებულ საზოგადოებებში კითხვის ნიშნებს გააჩენს ქართული ლიტერატურისა და კულტურის შესახებ, რომელიც აუცილებლად დაფასებული და აღნიშნული უნდა იყოს. ეს სტატია ერთ-ერთი მაგალითია თუ როგორ აღვივებს პატრიოტულ მუხტს „ქართული ფილმის“ რედაქცია მკითხველში.

ქართველი საზოგადოება ისტორიის ახალ თავზე გადავიდა, სადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგადი ფონი ორ სიტყვაში ეტევა: „საქართველო ქართველებისთვის“, ლოზუნგი ასოცირდება საქართველოს პირველ პრეზიდენტ - ზვიად

გამსახურდიასთან. მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობა მიზნად ისახავდა სოციალისტური იდეოლოგიის სწრაფად ჩანაცვლებას ახლით, რუსეთისგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას, საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი სახელმწიფოს შენებას და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. რამდენად პრაგმატული აღმოჩნდა მისი სტრატეგია სხვა საკითხია, თუმცა ერის უმეტესობა გაერთიანდა ამ ნაციონალიზმითა და რელიგიური ლოზუნგებით სავსე ნარატივის ირგვლივ.

განსხვავებისთვის, „ქართული ფილმი“, საკუთარი სარედაქციო და საგაზეთო პოლიტიკისა და სპეციფიკიდან გამომდინარე გემოვნებიანად და ინტელექტუალურად ცდილობდა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეაზე საუბარს.

თავი 2. კვლევის დიზაინი

2.1. კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი კითხვები

- RQ1: არის თუ არა გაზეთი „ქართული ფილმი“ 80-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებების გამომხატველი აქტორი და კონცეპტუალურად ემსახურებოდა თუ არა ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს?
- RQ2: რამდენად სიღრმისეულად შუქდებოდა გაზეთ „ქართულ ფილმში“ მიმდინარე კულტურისა და კინოს მოვლენები?
- RQ2აქვს თუ არა „გაზეთ ქართულ“ ფილმს პოლიტიკური ელფერი, თუ მხოლოდ კულტურის თემიოთ შემოიფარგლება?

- RQ3 იკვეთება თუ არა „ქართულ ფილმში“ გაზეთის ანტიკომუნისტური ღირებულებები?

კვლევის ჰიპოთეზა:

- H1: „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ პერიოდში, ჯერ კიდევ ცენზურისა და საბჭოური სასჯელის საფრთხეების პირობებში, „ქართული ფილმი“ ნამდვილად იყო გაზეთი, რომელმაც ღიად გამოხატა პრონაციონალისტური იდეები და პირველმა, მხარი დაუჭირა იმ ცვლილებებს, რომლებსაც საბოლოოდ უნდა დაემარცხებინა კომუნისტური პროპაგანდა და გამოეფხიზლებინა საზოგადოება.
- H2: გაზეთი „ქართული ფილმი“ არ არის გამოცემა მხოლოდ კინოსა და კულტურის საკითხებზე. იგი აშკარად პოლიტიკური პოზიციის გამომხატველი გამოცემაა.
- H3: გაზეთი „ქართული ფილმი“ აშკარად ანტიკომუნისტური გამოცემაა, რადგან სტატიებსა და ინტერვიუებში ჟურნალისტებიც და რესპონდენტებიც მკაფიოდ აკრიტიკებენ და ამხელენ საბჭოთა კომუნისტური სისტემის მანკიერებებს. .

2.2. კვლევის მეთოდი

წარმოდგენილი კვლევის მეთოდია თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. რაოდენობრივი მეთოდის მოშველიებით დავადგინე, თუ როგორ ნაწილდება „ქართული ფილმის“ მასალა ჟანრებისა და თემატიკის მიხედვით. ხოლო თვისებრივი კონტენტ-ანალიზით გამოვიკვლიეთ პუბლიკაციები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **ჟანრი** - ჟანრზე დაკვირვება დამეხმარა გაზეთის მრავალმხრივად გააზრებაში, თუ რომელ თემას როგორ ფორმატში განიხილავენ და რამდენად სიღრმისეულად აშუქებენ.ამ კატეგორიაში გაზეთში გამოქვეყნებული მასალები ჟანრობრივად შემდეგნაირად დავყავი: სტატიები, სვეტები, ინტერვიუ, მიმოხილვა, განცხადება, ახალი ამბები.

- **თემები** - ამ კატეგორიაში, შევისწავლე, რამდენად მრავალფეროვანია გაზეთი კონცეპტუალურად და რომელ თემას აშუქებენ ყველაზე ხშირად.
- **ვიზუალური მასალა** - „ქართული ფილმი“ დატვირთულია ვიზუალური მასალით - ფოტოებით, გრაფიკებითა და კარიკატურებით. მათი კვლევა გაზეთის გააზრებისთვის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო.

მასალის შერჩევა და საკვლევი პერიოდი

საკვლევ პერიოდად ავარჩიე გაზეთ „ქართული ფილმის“ 1987 წლის 3 ივნისიდან 1988 წლის 29 ივნისის ჩათვლით გამოქვეყნებული ნომრები. დროის ეს მონაკვეთი „მედია რევოლუციის“ ყველაზე აქტიური და დატვირთული პერიოდია. საბჭოთა ცენზურის მოშლამ, ეროვნული იდეების გავრცელებამ და პატრიოტული სულისკვეთების გამოღვიძებამ (რაზეც აქტიურად იზრუნა მედიამ) 1987-1988 წლებში პიკს მიაღწია,

ამგვარად, სწორედ ეს პერიოდი გახდა მომდევნო წლებში განვითარებული მოვლენების განმსაზღვრელი. ამიტომ, დროის ეს მონაკვეთი მოიცავს ქართული მედიის და ეროვნული ცნობიერების ისტორიაში გარდამტეხ, ამავდროულად მშვიდობიან და „ხავერდოვან“ ეპიზოდებს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ გაზეთი „ქართული ფილმი“ საკვლევად საინტერესო და მრავალფეროვანი მედიაპროდუქტია, კვლევის შედეგები კი აუცილებლად სიღრმისეულად ჩაგვახედებს „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ პერიოდის კულტურულ-ინტელექტუალური საზოგადოების ცხოვრებაში.

3.1 კვლევის შედეგები

- **ჟანრი**

სულ შევისწავლე 1987 წლის 3 ივნისიდან 1988 წლის 29 ივნისის ჩათვლით გამოსული 96

ნომერი. გამოიკვეთა 9 ძირითადი ჟანრი. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, ჟანრობრივად ყველაზე ხშირად იბეჭდებოდა სტატიები, მეორე ადგილი ინტერვიუს ჟანრმა დაიკავა. შესწავლილი მასალა ჟანრობრივად ამგვარად განაწილდა:

1. სტატია _ 48
2. პუბლიკაცია _ 42
3. ინტერვიუ _ 36
4. მიმოხილვა _ 24
5. სვეტი _ 32

   ცალკე გამოვყავი:

   1. მიმართვის წერილი _ 27
   2. კინო პროგრამა _ 30

- **თემა**

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, გაზეთი თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანია. გაზეთის გვერდები ეთმობა კინოს როგორც შემოქმედებით, ისე ტექნიკურ ნაწილს, აქტიურად იბეჭდება საინტერესო და აქტუალური კინო სამყაროს ცნობილი ფიგურების პორტრეტები და ინტერვიუები. „ქართულ ფილმში“ შეხვდებით თეატრისა და ლიტერატურის რუბრიკებსაც. რაც აუცილებლად მინდა აღვნიშნო, დიდი ნაწილი აქვს დათმობილი მკითხველთა გამოხმაურებებს. გარდა კულტურული მიმართულებისა, რომელშიც, როგორც ზემოთ ვთქვი, ჟურნალისტური მასალები პოლიტიკური და პატრიოტული მოტივებით არის განმსჭვალული.

- **ვიზუალური მასალა**

„ქართული ფილმის“ გვერდები დატვირთულია დასამახსოვრებელი კადრებით, კარიკატურებითა და მეტაფორული ფოტოებით. თხრობის ვიზუალური ენა „ქართული ფილმის“ ნომრებს უფრო ცოცხალს და საინტერესოს ხდის. შემოგთავაზებთ გაზეთის რამდენიმე ყველაზე დასამახსოვრებელ ვიზუალურ მასალას, თავისი აღწერისა და

სათაურითურთ. ნახატი ფილმი, იგივე ანიმაცია, მეტაფორული სიუჟეტითა და პერსონაჟებით. ვიზუალური მასალის ამგვარი მრავალფეროვნება, ხაზს უსვამს, როგორც ტექნიკური კინო სფეროს სიღრმისეულად ათვისებას, ისე იდეურ დატვირთვას.

გაზეთის გვერდზე აღბეჭდილია ცნობილი სახეები და სახელი გვარები, ანტისაბჭოური ნარატივის როლებითა და თანამდებობებით. აქცენტი კვლავ მკაფიოდ რჩება ეროვნული და ინდივიდუალური პრინციპების ვექტორზე.

იუმორისტულ-სატირული რუბრიკა - ცნობილი ქართული გამონათქვამების ვიზუალური გამოხატვა.

ცნობილი ადამიანების კარიკატურათა სერია - საბჭოთა რეჟიმით გადაღლილი ადამიანების შარჟები, რომლებიც ახლებურად დაგვანახებს ადამიანებს - გამოჰკვეთს მათ უნიკალურ თვისებებსა და ხასიათს. ამგვარი ვიზუალური მასალი მკითხველისთვის სახალისოც არის და დიდ ხანსაც რჩება ქვეცნობიერში.

წმინდა წყლის პოლიტიკური ინფორმაცია, მინიმალისტური და სიმბოლური ფოტო გრაფიკით, სადაც გამოსახულია ამერიკისა და სსრკ-ს გერბები.

ამ კვლევის ფარგლებში, არაერთხელ აღვნიშნე გაზეთ „ქართული ფილმის“ თემატური და კონცეპტუალური მრავალფეროვნება. როგორც ვხედავთ, გამომცემლობა აქტიურად არის ჩართული მიდმინარე პოლიტიკურ პროცესებში, თამამად ეხმიანება მათ და საკუთარი პოზიციის გამოვლენისგანაც არ იკავებს თავს.

3.2. ძირითადი ტენდენციები

- **ანტისაბჭოური განწყობა** _ ეს ტენდენცია ჩემი საკვლევის პერიდის პირველივე ნომრის, პირველივე სათაურიდან შეინიშნება. სტატიაში „გარდაქმნის კურსით“, რომელი სათაურითაც 1987 წლის ბევრ ნომერში პირველ გვერდზე მასალა სისტემატიურად იბეჭდებოდა, განიხილებოდა პოლიტიკური რეფორმების

აუცილებლობა, საზოგადოებაში მზაობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნის შეგრძნებების გაღვივება. „ქართული ფილმი“, ფაქტობრივად, მძლავრი იარაღი აღმოჩნდა ამ პერიოდისათვის, რადგან მასში გამოქვეყნებული, ერთი შეხედვით, მარტივი ინფორმაცია გავლენას ახდენდა ქვეცნობიერის დონეზე. აუცილებლად აღსანიშნავია გაზეთის გავლენის მასშტაბებიც, რადგან „ქართული ფილმის“ აუდიტორია არ არის შეზღუდული სეგმენტი, რომელსაც მხოლოდ კინო ხელოვნება აინტერესებს. ეს არის უამრავი მკითხველი, რომელიც კინოს მასობრივ კულტურად აღიქვამს, გასართობ, შემეცნებით საშუალებად, ვისაც უყვარს თეატრი, ლიტერატურა, ცნობილი სახეების ისტორიები, ყველანაირი გემოვნებისა და ინტელექტუალური უნარების ადამიანს დააინტერესებს.

- **პროდასავლური კურსი** _ ამ კვლევის ფარგლებში, არაერთხელ გამოვკვეთეთ „ქართული ფილმის“ სარედაქციო პოლიტიკის პროდასავლური კურსი და დასავლური სამყაროსკენ სწრაფვა, ცნობილი ამერიკელი და ევროპელი კინო ვარსკვლავებისა და რეჟისორების ინტერვიუს გარდა, პოლიტიკური სტატიები, რომელთა შესახებ მაგალითი ფოტო-მასალის განხილვის დროსაც ვნახეთ.
- **უშუალო ტონი და წერის სტილი** _ უშუალო და მარტივად გასაგები წერის სტილი „ქართულ ფილმს“ კიდევ უფრო გავლენიან და რეზონანსულ გამოცემად აქცევს იმდროინდელი დღის წესრიგის გათვალისწინებით. რედაქტორმა და ჟურნალისტებმა იციან საკუთარი მისია, რომ გარდამტეხი რეფორმების დროს მძლავრ იარაღს ფლობენ - ინფორმაციასა და საზოგადოებრივი განწყობის კონტროლს. სტატიებით, პუბლიკაციებით, ინტერვიუებითა და ვიზუალური მასალებით კონკრეტული მესიჯი იგზავნება საზოგადოებასთან მარტივად და მკაფიოდ, რაც პროფესიონალიზმის დასაფასებელი გამოვლინებაა. უშუალო ტონს აძლიერებს მკითხველთათვის გამოყოფილი რუბრიკები, სადაც ისინი თავიანთ აზრებსა და მოთხოვნებს აგზავნიან რედაქციაში.

დასკვნა

კვლევის შედეგად, შემიძლია დავასკვნა, რომ ჩემ მიერ წამოყენებული ჰიპოთეზები დადასტურდა. თუ მედიას და საინფორმაციო რევოლუციას განვიხილავთ გარდაქმნის პროცესის ძირითად აქტორად, მაშინ აუცილებლად უნდა ვისაუბროთ მედიის, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს პოლიტიკურ სტრატეგიასა და კურსზე. „ქართული ფილმის“ როლი 1987-1988 წლებში მიმდინარე მოვლენებში აუცილებლად აღსანიშნავი და მნიშვნელოვანია. მულტიპროფილურმა და მრავალფეროვანმა კონცეფციამ გააძლიერა „ქართული ფილმის“ გავლენები, გაზეთი საბჭოთა მარწუხებს ერთდორულად ორ - კულტურისა და პოლიტიკის - ფრონტზე ებრძოდა, შესაბამისად ორივე ფრონტის წარმომადგენლებს საკუთარი პროდასავლური, სწორი პოზიციის ირგვლივ ნელ-ნელა იკრეფდა.

საერთაშორისო ფილმებისა და მნიშვნელოვანი კინო-ფიგურების გაშუქებამ გააფართოვა მაყურებლის/მკითხველის პერსპექტივა, გავლენა მოახდინა ადგილობრივ კინორეჟისორებზეც და ხელი შეუწყო ქართული რეალობის, ერთდროულად პატრიოტულ და კოსმოპოლიტურ გააზრებას, რაც თავისთავად, ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ღირებულებებს.

„ქართული ფილმის“ რედაქტორებმა ისარგებლეს შესუსტებული ცენზურით, წაახალისეს რეჟისორების ახლებური და ჩარჩოდან გამოსული იდეებიც. თავის მხრივ, ჟურნალისტური საქმიანობა ახალ საფეხურზე აიყვანეს და ღიად დაიწყეს საუბარი ადრე შეზღუდულ თემებზე, გამოიყენეს ექსპერიმენტული ვიზუალური თხრობის სტილი, ამ ყველაფერმა გააღვივა ინდივიდუალიზმის, შემოქმედობითობისა და სიახლისკენ სწრაფვის გრძნობა.

„ქართულ ფილმში“ უამრავი სტატია დაეთმო კინო-კულტურისა და განათლების მნიშვნელობის პოპულარიზაციას ბავშვებში - „განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დღეს, საბავშვო კინოს აგიტაცია-პროპაგანდის საქმეს. პრესა და ტელევიზია

უფრო მეტი გულისყურით უნდა მოეკიდოს საბავშვო კინოს პრობლემების შესწავლას, მოზარდი თაობის ინტენსიურ დაინტერესებას ამ დარგის განვითარების საქმეში“.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაზეთი „ქართული ფილმი“ პერესტროიკის პერიოდში ეროვნული ცნობიერებისა და კულტურის კატალიზატორად მიმაჩნია. გაზეთმა ჩამოაყალიბა ინტელექტუალური მკითხველი და დასახა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კულტურული განვითარების ტრაექტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული გაზეთი „ქართული ფილმი“
2. https://monoskop.org/images/5/55/McNair_Brian_Glasnost_Perestroika_and_the_Soviet_Media.pdf
3. https://www.britannica.com/biography/Mikhail-Gorbachev/Later-life
4. https://www.jstor.org/stable/23009360
5. 90-იანი წლების ქართული მედია: ნაბიჯი თავისუფლებისკენ (გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, ლევან რამიშვილი, სადისკუსიო წერილების სერია)
6. მაისაშვილი ხათუნა ,, ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში“. თბილისი, 2010. https://eprints.iliauni.edu.ge/2910/1/1425%20%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf
7. მამარდაშვილი მ, „ჩახშული ფიქრი“ (საუბრები ანი ეპელბუანთან)
8. Arbatov, G. A. (1991). Zatjanuvsheesja vyzdorovlenie. Mezhdunarodnye Otnoshenija. (In Russian), Gaidar, E. T. (1997). Gosudarstvo I Evolucija. Evrazija.

9. Maisashvili et al. (2017). Glasnost Stories of Georgia (in Georgian), Based on the Research Project "Georgian Media—A Central Site on Inter-Replacement of Official and Unofficial Histories". Ivane Javakhishvili Tbilisi State University. https://www.academia.edu/32376400/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%90_%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98_doc
10. Murray, J. (1991). Glasnost 1990. Irish Communication Review, 1, Article 3